

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირმა გელანტია-ახვლედიანი

**შიდა აუდიტის ორგანიზაციის სრულყოფის ძირითადი
მიმართულებები საქართველოს საჯარო მმართველობაში**

წარდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

დისერტაციის მაცნე

თბილისი

2021

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

ირმა გელანტია-ახვლედიანი

**შიდა აუდიტის ორგანიზაციის სრულყოფის ძირითადი
მიმართულებები საქართველოს საჯარო მმართველობაში**

წარდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

დისერტაციის მაცნე

თბილისი

2021

დისერტაცია შესრულებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

დავით ჯალაღონია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ექსპერტები:

ნაზი გვარამია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ვასილ ხანიშვილი აუდიტორული კომპანია შპს „მრჩეველის“ მმართველი პარტნიორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

რეცენზენტები:

იური შაჰასტუა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ლევან გრიგალაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეპარტამენტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

დაცვა შედგება 2021 წლის ---- თებერვალი, ---- საათზე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61, ---- სართული, საპრეზენტაციო აუდიტორია

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მარინე ხუბუა

I. სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

პრობლემის აქტუალობა. საჯარო დაწესებულებების ეფექტიანი მართვა საზოგადოების კეთილდღეობის, ქვეყნის მდგრადი და სტაბილური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. არსებული გამოცდილებით, საჯარო სექტორში საქმიანობის შედეგის დონეს და ხარისხს, კარგი მმართველობის ფუნდამენტურ პრინციპებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს, კონსეპტუალურად საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზირებული, სტრუქტურულად მწყობრი და ორგანიზაციულად გამართული, შედეგზე ორიენტირებული შიდა აუდიტის სისტემა.

ფუნქციონალური დატვირთვიდან და სახელმწიფო ორგანიზაციების მიზნებიდან გამომდინარე, შიდა აუდიტი, დასახული ამოცანების სრულყოფილად შესრულების დამოუკიდებელი, ობიექტური, მარნმუნებელი, საკონსულტაციო საქმიანობაა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინური და ორგანიზებული მიდგომებით უზრუნველყოფს რისკების მართვის, კონტროლისა და მთლიანად მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას. სახელმწიფო ვალდებულია შიდა აუდიტის სამსახური, მართვის ყველა დონეზე დააკომპლექტოს მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი, კეთილსინდისიერი სპეციალისტებით და მენეჯერებით. თავის მხრივ, შიდა აუდიტის სამსახურმა ხელი უნდა შეუწყოს საჯარო სექტორში მმართველობის ეფექტიან ფუნქციონირებას, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების, საშედეგო მაჩვენებლების გაანგარიშების სისტემის, რეპუტაციული, ფინანსური, სამართლებრივი, აგრეთვე სხვა ტიპის რისკებთან დაკავშირებული ფაქტორების იდენტიფიცირებას და მათი აღმოფხვრის ინსტრუმენტების ჩამოყალიბებას.

საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურმა, მათ შორის უკანასკნელ პერიოდში პანდემიით (COVID-19), გამოწვეულმა მწვავე კრიზისებმა, ნათლად დაადასტურეს ჩვენი მოსაზრება, საჯარო სექტორის შიდა კონტროლის სისტემაში, შიდა აუდიტის, როგორც რისკების ეფექტიანი მართვის მძლავრი სარეკომენდაციო ინსტიტუტის დანერგვასთან და ამოქმედებასთან დაკავშირებით.

ადმინისტრირების დაბალი დონის, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ გამოხატული უნდობლობის, საჯარო სექტორში დასაქმებული პირების გულგრილი დამოკიდებულების, ხშირ შემთხვევაში, მათი არაკომპეტენტურობის და დაბალი კვალიფიკაციის პირობებში,

კიდევ უფრო მეტი სიმწვავეთ გახდა საჭირო მართვის სისტემაში შიდა აუდიტის გამოყენების და მისი ორგანიზაციული სრულყოფის აუცილებლობა.

პრობლემამ განსაკუთრებით იჩინა თავი სუსტი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც. ამასთან, მსოფლიო პრაქტიკით დასტურდება, რომ ძლიერი ეკონომიკის ქვეყნების საჯარო სექტორში ასეთი რისკ-ფაქტორების აღმოფხვრის ან შემცირების მიზნით, ფინანსური მართვისა და კონტროლის ერთიან სისტემაში წარმატებით გამოიყენება სწორედ შიდა აუდიტი.

საკითხის აქტუალობამ და საქართველოს საჯარო სექტორში, ამ მიმართულებით, ხანგრძლივმა პრაქტიკულმა საქმიანობამ განსაზღვრა სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანი - საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციის არსებული მდგომარეობის შესწავლა და მისი სრულყოფის მოდელის შემუშავება.

პრობლემების დამუშავების დონე. საქართველოს საჯარო დაწესებულებებში შიდა აუდიტის სამსახურის დანერგვის აუცილებლობა შედარებით ახალი მიმართულებაა. მისი შემოღება დაკავშირებულია 2007 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ევროკომისიასთან გაფორმებული შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებთან¹. აღნიშნულმა სათავე დაუდო „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის (PIFC – Public Internal Financial Control)“ სისტემის დანერგვას და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად რეფორმის განხორციელებას. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ეტაპიდან იწყება შიდა აუდიტის თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლით ქართველი მეცნიერ - ეკონომისტთა დაინტერესება. ამ მიმართულებით საყურადღებო კვლევები აქვთ გაკეთებული ჯ. ანანიძეს, ნ. გვარამიას, ზ. ლიპარტიას, ი. მესხიას, ი. ჰაპასიძეს, ნ. სრესელს, თ. უდესიანს, ნ. ქებაძეს, ლ. ჭუმბურიძეს, ნ. ძიმცივიშვილს, დ. ჯალაღონიას. საკითხის სიღრმისეულად კვლევის მიზნით, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას, განსაკუთრებული აქცენტები გაკეთდა, საერთაშორისოდ აღიარებულ ისეთ მკვლევართა ნაშრომებზე, როგორებიც არიან: R. Montgomery, V. Brink, Sawyer's, Robert R. Moeller, R. DeKoning, R.Chambers², K. H. Spencer Pickett, Patrick Onwura Nzechukwu, Lynford Graham Willey, Грачева М.В., Бычкова С. М., Лукин А., Сонин, А.В., Бурцев В.В., Фролова. М.Е., Каковкина Т.В.

¹ 2007 წ საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის გაფორმებული შეთანხმება „მხარდაჭერა სახელმწიფო სექტორის ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში“;

² Richard F. Chambers, CIA, QIAL, CGAP, CCSA, CRMA - შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის პრეზიდენტი.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია საქართველოს საჯარო მმართველობის დანესებულებებში შიდა აუდიტის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და შესაბამისი მოდელის შემუშავება. მიზნის მისაღწევად, პრაქტიკული ასპექტების შესწავლის, ანალიზის, შეფასებისა და მათი განზოგადების საფუძველზე, გამოიკვეთა შემდეგი ამოცანები:

1. საქართველოს საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური კონცეფციების შესწავლა, შეფასება, განზოგადება და მათი განვითარების ტენდენციების განსაზღვრა;

2. საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციის სამართლებრივი რეგულირების ანალიზი და შეფასება;

3. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემაში შიდა აუდიტის, ფინანსური მართვისა და კონტროლის, ინსპექტირების ფუნქციების გამიჯვნა და მათი იდენტიფიცირების შესაძლებლობა;

4. საჯარო მმართველობაში არსებული შიდა აუდიტის ფორმების საერთაშორისო პრაქტიკის რეტროსპექტული ანალიზი და მის საფუძველზე საქართველოში არსებული თავისებურებების გამოკვეთა;

5. საქართველოს საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციის რეგულირების მექანიზმების შესწავლა და მათი სრულყოფის მოდელის შემუშავება.

კვლევის ობიექტია საქართველოს საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციული სისტემის ფორმირებასთან დაკავშირებული პროცესები.

კვლევის საგანია საქართველოს საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციულ სრულყოფასთან დაკავშირებული ურთიერთობების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები და შესაბამისი მოდელის შემუშავება.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია საჯარო მმართველობის დანესებულებებში შიდა აუდიტის ორგანიზების კლასიკური კონცეფციები; უცხოელ და ქართველ მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომები და კვლევები; შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (IPPF); საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული კანონები და ნორმატიული აქტები; სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის კონცეფცია (PIFC); საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2018-2021 წ.წ.; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის (CHU) სახელმძღვანელო აქტები; კონსოლიდირებული წლიური

ანგარიშები; „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის რეტროსპექტული რეგულირების გავლენის შეფასება/RIA (Regulatory Impact Assessment), ასევე PEFA-ს შეფასებები; „საქართველოში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის“ ხარვეზების ანალიზი (OECD/SIGMA); საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების (GIZ), სხვადასხვა ერთობლივ პროექტებში მონაწილე პარტნიორი ორგანიზაციების (ლიტვის, სლოვენის, ხორვატიის, ესტონეთის, უნგრეთის) შიდა აუდიტის სამსახურების თეორიული, სამეცნიერო-კვლევითი, პროფესიული ინსტიტუტების (IIA, PEMPAL, DELOITTE, PwC, KPMG, ERNST&YOUNG) სპეციალური გამოცემები, ანგარიშები, პუბლიკაციები.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ჩაღრმავებული ინტერვიუს, ჯგუფური ინტერვიუს (ფოკუსჯგუფების კვლევა), ჩართული დაკვირვების მეთოდები. მონაცემების რაოდენობრივ-სტატისტიკური შესწავლა განხორციელდა სტატისტიკური დაკვირვების, სტრუქტურიზებული ინტერვიუს, ანკეტირების, კონტენტ-ანალიზის რაოდენობრივი, აგრეთვე ანალიზის, სინთეზის მეთოდებით. ემპირიული კვლევის საფუძვლიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს³, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს⁴, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს შიდა აუდიტის სუბიექტებზე განხორციელებული პირადი დაკვირვებები, არსებული გამოცდილების და პრაქტიკის შესწავლა-ანალიზი. კვლევაში ასევე ასახულია საქართველოს საჯარო მმართველობაში ცენტრალური სამინისტროების, აჭარის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების⁵, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შიდა აუდიტის ხელმძღვანელებისა და აუდიტორების ანკეტური გამოკითვის შედეგები.

დასაცავად წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი დებულებები:

1. საქართველოს საჯარო მმართველობაში ფუნქციურად ჩამოყალიბებული შიდა აუდიტის თანამედროვე კონცეფციურ-მეთოდოლოგიური ხედვები;
2. საქართველოს საჯარო სექტორში შიდა აუდიტის ორგანიზაციის შეფასება და

³ რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა შემდეგი სახელმწიფოებთან - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო;

⁴ რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა შემდეგი სახელმწიფოებთან - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

⁵ თვითმმართველი ერთეულები - მუნიციპალიტეტი, თვითმმართველი ქალაქი;

მისი რეგულირების სრულყოფის მიდგომები;

3. საჯარო სექტორში შიდა აუდიტორთა სერტიფიცირებისა და აკადემიური განათლების პროგრამების დაახლოების, პროფესიონალი შიდა აუდიტორების კვალიფიკაციის აღიარებისა და სერტიფიცირების სისტემის დანერგვის კონცეფცია;

4. საქართველოს საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციული სრულყოფის მოდელი.

კვლევის მეცნიერული სიახლე: სადისერტაციო ნაშრომი საჯარო მმართველობის დანესებულებებში შიდა აუდიტის ორგანიზაციულ სრულყოფასთან დაკავშირებით არსებული საკითხების მეცნიერული შესწავლის პირველი მცდელობაა საქართველოში. კვლევის შედეგებში წარმოდგენილია მეცნიერული სიახლის შემდეგი ელემენტები:

❖ შესწავლილია საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური კონცეფციების, პრაქტიკის განვითარების და სამართლებრივი რეგულირების კავშირ-ურთიერთობები;

❖ დაზუსტებულია შიდა აუდიტის, ფინანსური მართვისა და კონტროლის, ინსპექტირების დეფინიციები და იდენტიფიცირებულია მათი გაიგივების მიზეზები;

❖ დასაბუთებულია შიდა აუდიტორთა პროფესიული სერტიფიცირების შემოღების აუცილებლობა და აკადემიური განათლების პროგრამებში სერტიფიცირების კომპონენტის ინტეგრირების კონკრეტული წინადადებები;

❖ შემუშავებულია საჯარო მმართველობის სისტემაში შიდა აუდიტის ორგანიზაციის მოდელი.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევით მიღებული თეორიული დასკვნები და წარმოდგენილი პრაქტიკული რეკომენდაციები, ხელს შეუწყობს საჯარო მმართველობის დანესებულებების კონტროლის სისტემაში, შიდა აუდიტის ორგანიზაციული მონაცემების ქმედითი მექანიზმების ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო ორგანიზაციებში მართვის ეფექტიანობას. კერძოდ, გაიზრდება მიღებულ შედეგებზე ანგარიშვალდებულება; პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდება; მოსალოდნელი რისკების პრევენციასთან ერთად, შესაძლებელი გახდება საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი და რაციონალური ხარჯვა; უზრუნველყოფილი იქნება ორგანიზაციის მდგრადი და სტაბილური განვითარება.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დასკვნები და დებულებები წარმოდგენილია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, თემატურ

სემინარებსა და სამეცნიერო ჟურნალებში. დისერტაციის ცალკეული ნაწილი ჩვენს მიერ გამოყენებულია სალექციო კურსში - „შიდა აუდიტი საჯარო მმართველობაში“, ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2019 წელს გამოცემულ პრაქტიკულ სახელმძღვანელოში - „სამაგიდლო წიგნი შიდა აუდიტის სუბიექტებისთვის“; კვლევის თეორიული და პრაქტიკული შედეგები გამოიყენება საქართველოს საჯარო სექტორში დასაქმებულ შიდა აუდიტორთა პროფესიული გადამზადების პროცესში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს ნახევრად A4 ფორმატის 142 გვერდს და შედგება: შესავლის, სამი თავის, ექვსი ქვეთავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის, ტერმინთა განმარტებისა და დანართებისაგან. ნაშრომის ძირითადი სტრუქტურა შეესაბამება კვლევის ლოგიკას და გააჩნია შემდეგი სახე:

თავი 1. საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ინსტიტუციური ორგანიზაციის კონცეფციები

1.1. შიდა აუდიტის ორგანიზაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები და განვითარების ტენდენციები;

1.2. შიდა აუდიტის სახელმწიფო რეგულირების თანამედროვე ასპექტები.

თავი 2. საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციის არსებული სისტემის ანალიზი, შეფასება

2.1. შიდა აუდიტის ორგანიზაციის ფორმების განვითარების რეტროსპექტული ანალიზი და შეფასება;

2.2. საქართველოს საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციის პრაქტიკის ანალიზი და შეფასება;

თავი 3. საქართველოს საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

3.1. საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციის მეთოდოლოგიური და სტრუქტურული სრულყოფის მიმართულებები;

3.2. შიდა აუდიტის ორგანიზაციის სრულყოფის მოდელი საჯარო მმართველობაში დასკვნები და წინადადებები

გამოყენებული ლიტერატურა

II. დისერტაციის ძირითადი შინაარსი

შესავალ ნაწილში დასაბუთებულია სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა. განსაზღვრულია კვლევის მიზანი, ამოცანები, კვლევის ობიექტი და საგანი; გამოკვეთილია დასაცავად გასატანი ძირითადი დებულებები, ჩამოყალიბებულია მეცნიერული სიახლეების შემცველი ელემენტები, წარმოდგენილია შიდა აუდიტის ორგანიზაციის სრულყოფის მოდელი საჯარო მმართველობაში და შეფასებულია ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის პირველ თავში - „საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ინსტიტუციური ორგანიზაციის კონცეფციები“, განხილულია და შესწავლილია შიდა აუდიტის არსი, საჯარო მმართველობაში მისი ორგანიზაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები, ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები, გაანალიზებული და შეფასებულია საჯარო სექტორში შიდა აუდიტის საქმიანობის რეგულირების თანამედროვე ასპექტები.

შიდა აუდიტი სახელმწიფო მართვის სისტემის განუყოფელი ნაწილია. მისი ჩამოყალიბება და შემდგომი განვითარება იწყება მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან და დაკავშირებულია სამრეწველო ინდუსტრიალიზაციასთან, კორპორატიული საწარმოების მასშტაბების ზრდასთან, სარკინიგზო ტრანსპორტის მშენებლობასთან, სადაზღვევო კომპანიების, სააქციო საზოგადოებების, საბანკო სისტემის ქსელის ფორმირებასთან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მათი წარმომადგენლობების დივერსიფიცირებასთან. სწორედ, აღნიშნულმა პროცესებმა დიდი ბიძგი მისცეს, მე-19 საუკუნის ბოლოსათვის ჩამოყალიბებულ „აუდიტორის“, პროფესიის შემდგომ განვითარებას და მასზე მოთხოვნების ზრდას, ჯერ კერძო, ხოლო მოგვიანებით საჯარო სექტორში. მე-20 და 21-ე საუკუნების მიჯნაზე, შიდა აუდიტი ფუნქციურად გადამწყვეტი ხდება რისკების იდენტიფიცირებისა და კონტროლის სტრატეგიული მართვის მიმართულებით. იკვეთება აუდიტორული შემოწმებების ხარისხის და ვალდებულებების შეფასების მნიშვნელობა. ამავე პერიოდიდან განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს შიდა აუდიტი, როგორც თაღლითობასთან და კორუფციასთან ბრძოლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

საერთაშორისო შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (IIA) მიხედვით „შიდა აუდიტი“ არის დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს დანესებულებაში მიმდინარე პროცესების ეფექტიანად განხორციელებას, აფასებს რისკების ხარისხს და აუმჯობესებს მათ მართვას. პრაქტიკით დასტურდება, რომ შიდა აუდიტი დიდი ხანია გასცდა, მხოლოდ ფინანსური ანგარიშგებისა და საბუღალტრო

ჩანაწერების შემონახვის მასშტაბებს და გახდა „კარგი მმართველობის“⁶ პრინციპის განხორციელების ქმედითი ინსტრუმენტი. თანამედროვე შიდა აუდიტის ფუძემდებელი, ფლორიდის უნივერსიტეტის პროფესორი, ლოურენს ბ. სოიერსი (Lawrence B. Sawyer's) აღნიშნავდა, რომ - „აუდიტს ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ისტორიული წარსული აქვს, შეიძლება ითქვას, რომ ის სათავეს ჯერ კიდევ უძველესი ცივილიზაციიდან იღებს“.

შიდა აუდიტის ორგანიზაციული სრულყოფის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზისის განმტკიცების მიმართულებით განსაკუთრებული როლი ითამაშა, ცნობილი მეცნიერის მონტგომერის ნაშრომებმა. მე-19 საუკუნეში გამოცემულ წიგნზე - „მონტგომერის აუდიტი“ დაყრდნობით, პროფესორები - Philip L. Deflise, Henry R. Jaenicke, აღსტურებენ, რომ „აუდიტორული საქმიანობის პრაქტიკის პროგრესის მიუხედავად, მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში პროფესიონალი აუდიტორი იქცა საქმიანი სამყაროს ორგანულ ნაწილად“.

ამასთან დაკავშირებით, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ამერიკელი მეცნიერი უოლტერ ბ. მეგსი აღნიშნავდა, რომ „შიდა აუდიტორები იყვნენ კლერკები, რომლებიც შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ რუტინული საქმიანობით, აწარმოებდნენ ბუღალტრულ ჩანაწერებში საკანცელარიო შეცდომების მოძიებას. სწორედ, საკანცელარიო შეცდომების აღმოფხვრისა და სამუშაო დღის ბოლოს საკასო აპარატების შემონახვის ფუნქციით დაახლოებით 1970-იან წლებში იყვნენ დაკავებული შიდა აუდიტორები. თუმცა, უკვე იგრძნობოდა შიდა აუდიტორთა ფუნქციური დატვირთვის აუცილებლობა და იკვეთებოდა მათი როლი ორგანიზაციის ეფექტიანად მართვის საქმეში.

ქრონოლოგიურად, შიდა აუდიტმა განვითარების სხვადასხვა ეტაპები განვლო. მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში დამოუკიდებელი აუდიტი ვითარდებოდა ინგლისური მოდელის მსგავსად, ეყრდნობოდა მონაცემების დეტალურ გამოკვლევას. თუმცა, ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და საიმედო საფინანსო ინფორმაციის მაღალი ხარისხისადმი მოთხოვნის გათვალისწინებით, აუდიტორული საქმიანობა აშშ გახდა დინამიურად მზარდი, მოთხოვნადი და სწრაფად განვითარებადი, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში.

⁶ კარგი მმართველობა (Good Governance) - გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის, კანონიერებისა და მიუკერძოებლობის, ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაფუძნებული მმართველობის მეთოდი.

შიდა აუდიტის განვითარების პირველი ეტაპი იწყება გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან და მოიცავს 1939-1950 წლებს. ეს იყო შიდა აუდიტის ჩამოყალიბებისა და ფორმირების პერიოდი.

1941 წლიდან, იწყება შიდა აუდიტის დინამიური განვითარება. ამ პერიოდში, ვიქტორ ბრინკისა და მისი კოლეგების დიდი ძალისხმევით საფუძველი ჩაეყარა, შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (IIA) ჩამოყალიბებას. სწორედ, 1941 წელიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში შიდა კონტროლისა და მისი განუყოფელი ნაწილის - შიდა აუდიტის შემდგომი განვითარება ერთდროულად უკავშირდებოდა ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენას: ვიქტორ ბრინკის ფუნდამენტური ნაშრომის - „შიდა აუდიტი“ გამოქვეყნებას (სადაც აღწერილია თანამედროვე შიდა აუდიტის როლი, მნიშვნელობა) და შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებას (IIA Institute of Internal Auditors/ IIA). სწორედ, შიდა აუდიტორთა ინსტიტუტს (IIA) მოიხსენიებენ, როგორც „შიდა აუდიტის პროფესიის გლობალურ ხმას, ლიდერს, მთავარ ადვოკატს და აღმზრდელს“, ორგანიზაცია პასუხისმგებელია შიდა აუდიტის, როგორც პროფესიის განვითარებაზე, ასევე, მისი სრულყოფისა და შიდა აუდიტის სტანდარტების შემუშავებაზე. მისი შტაბ-ბინა განთავსებულია აშშ-ში, წარმატებულად მუშაობს, მსოფლიოს 165-ზე მეტ ქვეყანაში და აერთიანებს 180 ათასზე მეტ შიდა აუდიტორს. სამწუხაროდ, საქართველოში ამ ეტაპზე არ არის შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (IIA) წარმომადგენლობა, თუმცა ერთეული შიდა აუდიტორი ინდივიდუალურად განვითარებულია ორგანიზაციაში.

შიდა აუდიტის განვითარების შემდგომი ეტაპი უკავშირდება გასული საუკუნის 80-იან წლებში აუდიტის სფეროში დამკვიდრებულ ახალ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც **შიდა აუდიტი**, რომელიც კერძო და სახელმწიფო სექტორში ფუნქციონირებდა დანესებულების შიგნით და ატარებდა შიდა აუდიტორულ შემოწმებას, გაიმიჯნა გარე აუდიტორული მომსახურებისაგან, რომელსაც როგორც წესი, ახორციელებდა გარე დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმა და სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი უმაღლესი აუდიტორული ორგანო. ამ ეტაპისათვის, შიდა აუდიტორის პროფესია გახდა უფრო სრულყოფილი, ამასთან შეიქმნა წინაპირობები, სპეციალიზირებული პროფესიული გამოცდების ჩასაბარებლად.

უცხოელი ექსპერტების უდიდესი ნაწილის მოსაზრებით, საჯარო სექტორში რისკების მართვის და შიდა აუდიტის ორგანიზაციული სრულყოფის თეორიული - მეთოდოლოგიური კონცეფციის ჩამოყალიბებაში, გარდამტეხი როლი ითამაშა თრედვეის

კომისიის სპონსორ ორგანიზაციათა კომიტეტის (COSO – The Comitee of Sponsoring Organizations of theTredway Comission) მიერ 1992 წელს, აშშ გამოქვეყნებულმა ანგარიშმა სახელწოდებით „შიდა კონტროლი -კოპლექსური მიდგომა“ (InternalControl – IntegratedFramework). აღნიშნულ ანგარიშში პირველად გაჩნდა ტერმინი „შიდა კონტროლი“, სადაც გამოიყო ურთიერთდაკავშირებული ხუთი კომპონენტი:

1. კონტროლის გარემო; 2. რისკების მართვა; 3. კონტროლის ღონისძიებები; 4. ინფორმაცია და კომუნიკაცია; 5. მონიტორინგი - შეფასება.

კომპონენტი N1 - კონტროლის გარემო - ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისათვის დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კონტროლის გარემოს ჩამოყალიბება და მისი შემდგომი სრულყოფის მექანიზმების შემუშავება. კონტროლის გარემო მოიცავს დაწესებულების მისიას, მიზნებს, სტრატეგიას, სტრუქტურას, პროფესიულ ერთიანობას, ეთიკას, მართვის სტილს; სამართლებრივ ჩარჩოსა და რეგულაციებს, რომლებზე დაყრდნობითაც ფუნქციონირებს დაწესებულება და შესაბამისი ანგარიშგების სისტემა.

კომპონენტი N2 - „რისკის მართვა“ - საჯარო სექტორში შედეგის პროგნოზირების მძლავრი ინსტრუმენტია რისკების მართვა, რომელიც ხორციელდება რისკების შესამცირებლად დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად. ესაა იმ შესაძლო მოვლენების განსაზღვრის, შეფასების, კონტროლისა და მონიტორინგის პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის), დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე.

კომპონენტი N3 - „კონტროლის ღონისძიებები“ - კონტროლის ღონისძიებების მიზანია მოსალოდნელი რისკის ოპტიმალურ დონემდე შემცირება, „კონტროლის ღონისძიებები“ უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) საქმიანობას, ამასთან, მათი განხორციელების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მოსალოდნელ სარგებელს. კონტროლის ღონისძიებების თარგლებში ხორციელდება შემდეგი პროცედურები:

- ✓ უფლებამოსილების მინიჭება;
- ✓ ერთი და იგივე პირი არ უნდა იყოს პასუხისმგებელი უფლებამოსილების მინიჭებაზე, ქმედების განხორციელებასა და კონტროლზე;
- ✓ ხელმოწერის ორმაგი სისტემის დამკვიდრება;

- ✓ აქტივების, ფინანსური, არაფინანსური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- ✓ ზედამხედველობა;
- ✓ ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის პროცედურების დამკვიდრება;
- ✓ დანესებულების მიერ განხორციელებული ოპერაციების დოკუმენტირება;

კომპონენტი N4 - „ინფორმაცია და კომუნიკაცია“ - დანესებულების ხელმძღვანელმა დანერგოს, განავითაროს შიდა და გარე ინფორმაციის დროული, სანდო, სრულყოფილი, ხელმისაწვდომი საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დადგენილი ვადების, ინფორმაციის შეგროვებისა და შეტყობინების წესებს დაცვას.

კომპონენტი N5 - „მონიტორინგი და შეფასება“ - ფინანსური მართვისა და კონტროლის ერთიანი სისტემის მონიტორინგის, შეფასების, ადეკვატურობის, ფუნქციონირების შენარჩუნებისა და განახლების მიზნით, ხელმძღვანელი პასუხისმგებელია შიდა აუდიტორული ანგარიშის რეკომენდაციების დროულ და თანმიმდევრულ შესრულებაზე. პროცესი ხორციელდება უწყვეტი მონიტორინგისა და თვითშეფასების მეშვეობით, შიდა აუდიტის სუბიექტთან ერთად.

ამრიგად, გლობალიზაციის პროცესის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, შიდა აუდიტის მოხმარების არეალმა იწყო გაფართოება. ამის ნათელი მაგალითია 2002 წლის 30 ივნისს, აშშ-ის 43-ე პრეზიდენტის, ჯორჯ უოკერ ბუშის ხელმოწერილი, ფინანსური მართვისა და კონტროლის ახალი რეჟიმის მარეგულირებელი - „სარბენს-ოქსლის (SARBANES-OXLEY Act, SOX)“ კანონი“, რომლითაც ორგანიზაციებს დაეკისრათ შემდეგი ვალდებულება:

1. ჩამოყალიბებინათ დირექტორთა საბჭოს დამოუკიდებელი წევრებით დაკომპლექტებული აუდიტის კომიტეტი;

2. შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი ეფექტიანობის შეფასების კუთხით, შიდა კონტროლთან დაკავშირებით, წლიური ანგარიშგების სპეციალურ განყოფილებაში, უნდა დათქმონ რეგულირებელი მენეჯერთა მოვალეობები და პასუხისმგებლობები;

3. გარე აუდიტორის მიერ შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შეფასება.


2005 წლის ივნისში, დიდი ბრიტანეთის ხაზინა ამტკიცებს „კორპორატიული მართვა ცენტრალური ხელისუფლების სამინისტროებში - პრაქტიკის კოდექსს“, სადაც აქცენტები გაკეთდა „სხვისი ფულის მართვის“ კონცეფციაზე, როდესაც კორპორატიული მართვის

ობიექტი, „აქციონერთა სახსრების“ მართვასთან ერთად „გადასახადის გადამხდელთა სახსრების“ ხდება. ამ ეტაპიდან მკვიდრდება „ეფექტური მმართველობის“ ცნება.

შიდა აუდიტის ორგანიზაციული განვითარების კუთხით წინგადადგმული ნაბიჯი იყო, შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის მიერ, 2013 წელს შიდა აუდიტის ორგანიზაციული მონაცემების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით შემოთავაზებული „დაცვის 3 ხაზის“ ახალი მოდელი (იხ. სქემა N1).

სქემა N1

„დაცვის 3 ხაზი - რისკების ეფექტური მართვა და კონტროლი“⁷



„დაცვის 3 ხაზის“ ახალი მოდელის კონცეფციით, ლოგიკურად და მარტივად განსაზღვრულია მმართველობითი სისტემის ყველა ძირითადი მონაწილის ადგილი, როლი და პასუხისმგებლობა ორგანიზაციაში რისკის მართვასა და კონტროლთან მიმართებით. შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (IIA) დირექტორის, რიჩარდ ჩემბერსის განმარტებით⁸ „ამ მოდელმა შეასრულა უმნიშვნელოვანესი როლი, ადამიანებს დაეხმარა შიდა აუდიტის როლის, ასევე რისკების მართვისა და კონტროლების სტრუქტურის აღქმაში“.

⁷ „დაცვის სამი ხაზის“ მოდელი, პრაქტიკაში არსებული ორგანიზაციული გამოწვევების კვალდაკვალ პერიოდულად ექვემდებარება განახლებას, უკანასკნელად მოდელი განახლდა 2020 წლის ივლისში.

⁸<https://www.accountingtoday.com/news/iia-updates-three-lines-model-to-stress-risk-management-and-governance>.

წარმოდგენილი მოდელის მიხედვით დაცვის I ხაზში, მმართველობითი რგოლის წარმომადგენლების მიერ ყალიბდება საქმიანობის მიზნები, სტრატეგია, შიდა პოლიტიკა; მუშავდება ინსტრუქციები და რეგულაციები, პროცედურები. ყალიბდება კონტროლის სისტემა და ხდება პასუხისმგებლობის დელეგირება.

რისკების მართვის უზრუნველსაყოფად დაცვის II ხაზში ყალიბდება რისკების მართვის სისტემა; წარმოებს პრობლემებისა და ნაკლოვანებების იდენტიფიცირება; მუშავდება რისკების მართვის ეფექტიანი მექანიზმები; წარმოებს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობისა და ადეკვატურობის მონიტორინგი; კანონების, წესების, რეგულაციების დაცვა; გამოვლენილი სისუსტეებისა და ნაკლოვანებების დროული გამოსწორების პირობებში, სისტემატიურად მუშავდება ანგარიშგება;

შიდა აუდიტი, რისკების შეფასების ეფექტური ინსტიტუტია საჯარო სექტორში. სწორედ, დაცვის მე-3 ხაზი უზრუნველყოფს შიდა შემოწმების დამოუკიდებლობას; ხელმძღვანელობისათვის ანგარიშებისა და რეკომენდაციების მიწოდებას, დაცვის პირველი და მეორე ხაზების სისუსტეებსა და გაძლიერებასთან დაკავშირებით მათ ინფორმაციულ უზრუნველყოფას, რწმუნების გაცემას.

საქართველოს საჯარო სექტორში არსებულ მდგომარეობასთან პარალელის გავლებისას, ცალსახად გამოკვეთილია დაცვის პირველი ხაზი, თუმცა, პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს დაცვის მეორე ხაზი. ხშირად მენეჯერები ცდილობენ კონტროლის ფუნქცია და პასუხისმგებლობა (მეორე ხაზის კომპეტენცია) გადაიტანონ დაცვის მესამე ხაზში მყოფი შიდა აუდიტის სუბიექტებზე. დაცვის მეორე ხაზის არაეფექტური ფუნქციონირება ზრდის შეუსაბამობების, შეცდომების, თაღლითობისა და კორუფციის რისკებს, ქმნის ორგანიზაციული მიზნების მიუღწევლობის საფრთხეებს.

შიდა აუდიტის სახელმწიფო რეგულირების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შეფასებულია შიდა აუდიტის, როგორც ინსტიტუციის ფუნქციონირების მნიშვნელობა ქვეყნის საჯარო სექტორში. დადგენილია, რეფორმის კავშირი საქართველოს მთავრობის მიერ ევროკომისიასთან გაფორმებული შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებთან⁹.

⁹ 2007 წ. საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის გაფორმებული შეთანხმება „მხარდაჭერა სახელმწიფო სექტორის ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში“ („support to the public finance

აღნიშნულის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით, 2010 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო ევროკავშირის მიერ შემუშავებული კონცეფციის¹⁰ შესაბამისად „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის (Public Internal Financial Control PIFC“) სისტემის დანერგვა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად რეფორმის განხორციელება. ამასთან, წარმოდგენილი კონცეფცია მეთოდოლოგიურად ეფუძნება საერთაშორისო „COSO“ (The Comitee of Sponsoring Organizations of the Tredway Comission) სტანდარტს, შესაბამისად, საქართველოს საჯარო სექტორში, შიდა აუდიტის ორგანიზაციული მოდელის სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფის მექანიზმები, COSO მოდელის მეთოდოლოგიითაა უზრუნველყოფილი. გეოგრაფიული კონცეფციის მიხედვით¹¹, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა შედგება შიდა კონტროლისა და ჰარმონიზაციის ცენტრისგან. შიდა კონტროლი, თავის მხრივ, მოიცავს ფინანსურ მართვასა და კონტროლის და შიდა აუდიტის კომპონენტებს. ამასთან, საჯარო სექტორში პროცესების მართვისა და მმართველობითი სისტემების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა ხორციელდება ფინანსური მართვისა და კონტროლის, დამოუკიდებელი და ობიექტური მარწმუნებელი საქმიანობის შეფასება კი, შიდა აუდიტის ინსტრუმენტების გამოყენებით. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის და შიდა აუდიტის კომპონენტების ჰარმონიზაციისა და კოორდინაციის ერთეულია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ჰარმონიზაციის ცენტრი -სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტი. (იხ. სქემა N2; გვ18).

საქართველოსთვის, ისევე როგორც ევროკავშირში განვითარების მსურველი აღმოსავლეთ ევროპის და პოსტსაბჭოური სივრცის ბევრი ქვეყნისთვის, აღნიშნული

სქემა N 2


სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი PIFC¹² - სისტემა/მოდელი

management reform in Georgia“), ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება;

¹⁰ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია 2017-2019 წლებში;

¹¹ Robert De Koning, Public Internal Financial Control, A European Commission initiative to build new structures of public internal control in applicant and third-party countries, 2007.

¹² PIFC - Public Internal Financial Control.



პროცესი რთული, ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი იყო. რაც, განპირობებული იყო პოსტსაბჭოთა ადმინისტრაციულ - ორგანიზაციული მართვიდან თანამედროვე კარგი მმართველობის პრინციპებზე გადაწყობით. სწორედ, შიდა კონტროლის გამართული სისტემების არსებობა, წარმოადგენს ერთგვარ ინდიკატოს დაწესებულების ეფექტიანად ფუნქციონირების შესაფასებლად. ევროკავშირის მიერ შემუშავებული „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის - PIFC¹³“ კონცეფცია, საფუძვლად დაედო საქართველოში შიდა აუდიტის რეგულირების საკანონმდებლო ბაზის მომზადებას. კანონის მოქმედება ვრცელდება¹⁴:

- ცენტრალურ სამინისტროებზე;
- აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებზე;
- საქარო სამართლის იურიდიულ პირებზე;
- მუნიციპალიტეტის მერიებზე;
- კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე, რომელთა აქციების 50 პროცენტზე მეტს

ფლობს სახელმწიფო.

¹³ PIFC - Public Internal Financial Control/სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი.

¹⁴ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი და მე-2 ქვეპუნქტი.

საქართველოს საჯარო მმართველობაში, ფინანსური მართვისა და კონტროლის, ასევე, შიდა აუდიტის სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებასა და კოორდინაციაზე, პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი, სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტი - ჰარმონიზაციის ცენტრი /CHU), რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით უზრუნველყოფს, შიდა კონტროლის, მათ შორის, შიდა აუდიტის ორგანიზაციული სისტემის ჩამოყალიბებას, განვითარებას, მონიტორინგს და შეფასებას.

ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ მომზადებული სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების შესახებ კონსოლიდირებული წლიური ანგარიში წარედგინება საქართველოს მთავრობას. ასახულია საჯარო სექტორში რეფორმის მიმდინარეობის პროგრესი, ხელშემწყობი ღონისძიებები და არსებული წინააღმდეგობები. ასევე, მონაცემები შიდა აუდიტის მიერ წლის განმავლობაში განეული საქმიანობის შესახებ, ინსტიტუტის ძლიერი და სუსტი მხარეები ამასთან, გაუმჯობესების შესაძლებლობები.

შიდა აუდიტის ევოლუციური განვითარებისა და სამართლებრივი ბაზის არსებობის მიუხედავად, დღესაც არ არის დასრულებული მისი სრულყოფის პროცესი. თუმცა, იკვეთება, რომ მსოფლიოს სხადასხვა ქვეყანაში დაგროვილი თანამედროვე გამოცდილებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, შიდა აუდიტი მუდმივად ტრანსფორმირდება და ცვლილებებს განიცდის. ამასთან, თეორიულ-მეთოდოლოგიური კუთხით ქმნის შესაძლებლობას, საჯარო მმართველობის სისტემაში მოახდინოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება.


სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში - „საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციის არსებული სისტემის ანალიზი, შეფასება“ კვლევის შედეგით გამოკვეთილია, რომ ქვეყნის საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციული ფორმის ჩამოყალიბებიდან ათი წლის თავზე, კვლავ აქტუალური პრობლემაა, მისი ეფექტიანად ფუნქციონირების და შედეგზე ორიენტირებულობის საკითხი. ევროპის მონინავე გამოცდილების ქვეყნებში (ესტონეთი, სლოვენია, უნგრეთი, ხორვატია), შიდა აუდიტის ორგანიზაციის ფორმების ჩამოყალიბებისა და განვითარების რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე, შესწავლილია და შეფასებულია საქართველოში ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები, იდენტიფიცირებულია მისი დანერგვისა და

შემდგომი სრულყოფის შემათვრხებელი ფაქტორები; ქვეყანაში არსებული რეალობის პრაქტიკული გააზრებით და მონინავე გამოცდილებასთან ურთიერთშედარების გზით, გამოკვეთილია საქართველოს საჯარო სექტორში, შიდა აუდიტის ორგანიზაციის ჩამოყალიბების, საერთაშორისო სტანდარტებთან მეტად დაახლოებისა და ჰარმონიზების მექანიზმები.

2010 წლიდან, როდესაც საქართველოს საჯარო სექტორში ფაქტიურად დაიწყო შიდა აუდიტის ორგანიზაციულად მონყობის რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, თავიდანვე ჩამოყალიბდა 23 შიდა აუდიტის სუბიექტი, რომელშიც 139 შიდა აუდიტორი იყო გაერთიანებული. თუმცა, აქტიური, მიზანმიმართული ქმედებებიდან გამომდინარე, 2019 წლის მდგომარეობით ქვეყნის საჯარო სექტორში ფუნქციონირებდა 113 შიდა აუდიტის სუბიექტი (იხ. დიაგრამა N1):

დიაგრამა N1


შიდა აუდიტის სუბიექტები დაწესებულებების მიხედვით 2019 წლის მდგომარეობით



მნიშვნელოვანია, რომ 2010 წელთან შედარებით (რაც შესადარებელი ნიშნულია საქართველოს საჯარო სექტორში შიდა აუდიტის ჩამოყალიბების კუთხით), შიდა აუდიტის სუბიექტების რაოდენობა გაზრდილია 90 ერთეულით. (იხ. დიაგრამა N2; გვ. 21):

დიაგრამა N 2


შიდა აუდიტის სუბიექტების დინამიკა წლების მიხედვით საჯარო მმართველობაში 2010-2019 წწ



გენდერულ ჭრილში გაკეთებულმა ანალიზმა გამოკვეთა, რომ ხელმძღვანელ და გადანაცვეტილების მიმღებ პოზიციებზე შიდა აუდიტის სუბიექტში მხოლოდ 14 მენეჯერი ქალია (იხ. დიაგრამა: N 3):

დიაგრამა: N 3

შიდა აუდიტი გენდერულ ჭრილში



საწყის ეტაპზე, ქვეყნის საჯარო სექტორში, შიდა აუდიტის ერთეულების ჩამოყალიბების პროცესი ქაოტურად და არაორგანიზირებულად, დაჩქარებულ რეჟიმში მიმდინარეობდა. კვალიფიციური კადრების და პრაქტიკული საქმიანობის ნაკლებობასთან ერთად, ამ პერიოდისათვის საჯარო სექტორის დაწესებულებებში იგრძნობოდა შიდა აუდიტის ორგანიზაციული სტრუქტურის მეთოდოლოგიური საფუძვლების არარსებობა.

შიდა აუდიტის სუბიექტების დაკომპლექტება ხშირ შემთხვევაში ხდებოდა საჯარო მოხელეებით, რომელთაც არ ჰქონდათ შიდა აუდიტორისათვის აუცილებელი აკადემიური განათლება, საჭირო უნარ-ჩვევები და პრაქტიკული გამოცდილება. უმეტეს შემთხვევაში, ისინი წარსულში ძალოვანი უწყების წარმომადგენლები იყვნენ, უკეთეს შემთხვევაში, კი - ე.წ. „რევიზორის“ კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსები. საჯარო სექტორში შიდა აუდიტის ორგანიზაციული მონაცემების სისტემური¹⁵ გააზრებით, ქვეყნის მასშტაბით იკვეთება რეფორმის მიმდინარეობის დაბალი ტემპი და შემდეგი გამოწვევები:

- ❖ კვალიფიციური შიდა აუდიტორების სიმცირე;
- ❖ არასაკმარისი პროფესიული ტრენინგები;
- ❖ ხელმძღვანელობის მხარდაჭერის ნაკლებობა;
- ❖ შიდა აუდიტის თანაარსებობა ინსპექტირებასთან, გენერალურ ინსპექციასთან

გაიგივება;

- ❖ აუდიტის სახეების არ ცოდნა (ეფექტიანობა, IT, სისტემური);
- ❖ დაბალი ანაზღაურება, გადამზადებულ შიდა აუდიტორთა გაღივება;
- ❖ შიდა აუდიტორთა დაბალი მოტივაცია, კარიერული წინსვლის სისტემის არ არსებობა;
- ❖ სტაჟირების სისტემის არ არსებობა/შემდგომი დასაქმების მიზნით;
- ❖ ხელმძღვანელების ხშირი ცვლილება, ინსტიტუციური მემსიერების არარსებობა;
- ❖ ხელმძღვანელთა ჩარევა აუდიტორულ საქმიანობაში, შიდა აუდიტორთა

დამოუკიდებლობის შეზღუდვის ფაქტები;

- ❖ ხარისხის შიდა და გარე კონტროლის ღონისძიებების არ არსებობა;
- ❖ უმაღლეს სასწავლებლებში შიდა აუდიტის კურსის არ არსებობა;
- ❖ დამოუკიდებულება საერთშორისო, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერაზე;
- ❖ სერთიფიცირების ეროვნული სისტემის არ არსებობა;
- ❖ ქართულენოვანი პროფესიული სახელმძღვანელოების ნაკლებობა;
- ❖ სახელმწიფო აუდიტისა და შიდა აუდიტის ინსტიტუტების თანამშრომლობის

ნაკლებობა.


¹⁵ შიდა აუდიტის ორგანიზაციული მონაცემების სრულყოფის მექანიზმების შემუშავების მიზნით ქვეყნის მასშტაბით 2010-2019 წწ კვლევა განხორციელდა ცენტრალური სამინისტროების, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებისა და თვითმმართველი ერთეულებში (მუნიციპალიტეტის მერიები).

კვლევით გამოიკვეთა, რომ შიდა აუდიტის ჩამოყალიბებისა და ორგანიზაციული სრულყოფის ერთ-ერთი შემთავრებელი ფაქტორია სამინისტროებში გენერალური ინსპექციის ბაზაზე შიდა აუდიტის სუბიექტების ჩამოყალიბება. სამწუხაროდ, დღემდე შიდა აუდიტი აღიქმება, როგორც სადამსჯელო ორგანო, დისციპლინური დევნისა და სამსახურიდან ადამიანების გათავისუფლების მექანიზმი. ათეული წლების განმავლობაში დანერგილი გენერალური ინსპექციის მეთოდები, ტექნიკა და დამოკიდებულება იმდენად ძლიერად იყო ფეხგამდგარი საჯარო სექტორში და მმართველობით მეხსიერებაში, რომ პრაქტიკაში რეალურად დამკვიდრდა „შიდა აუდიტის სახით ფორმალურად სახელშეცვლილი გენერალური ინსპექცია“. (იხ. დიაგრამა N4; გვ. 23).

წარმოდგენილი დიაგრამიდან იკვეთება, რომ შიდა აუდიტის სამსახურების მნიშვნელოვანი რესურსი, თითქმის 3-ჯერ მეტი, მიმართულია ინსპექტირების განსახორციელებლად, ნაცვლად სისტემური ძირეული მიზნების აღმოფხვრისა, კვლავ პრიორიტეტულია დარღვევებისა და გადაცდომებზე წერტილოვანი რეაგირება.

დიაგრამა N4

**შიდა აუდიტორული შემონშებებისა და ინსპექტირების თანაფარდობა საჯარო სექტორში
2019 წელი**



საქართველოს საჯარო მმართველობაში შიდა აუდიტის ორგანიზაციის სრულყოფისთვის გარდამტეხი პერიოდი იწყება 2013 წლიდან, როდესაც შიდა აუდიტის ინსტიტუციური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის მემორანდუმი

გაფორმდა. ექსპერტების მონაწილეობით შიდა აუდიტორთა გადამზადების მასშტაბური ციკლი, პირველი პილოტური აუდიტორული შემოწმებები, სასწავლო ვიზიტები და საკეთესო პრაქტიკების გაზიარება განხორციელდა.

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია ევროპის ქვეყნების - ესტონეთის, ხორვატიის, სლოვენის, უნგრეთის შიდა აუდიტის დანერგვის გამოცდილება. კვლევით გამოვლინდა საქართველოს საჯარო სექტორში შიდა აუდიტის ორგანიზაციული მონაცემებისგან განსხვავებული მიდგომები - ესტონეთის საჯარო სექტორში შიდა აუდიტის ორგანიზაციული სრულყოფის რეფორმა აუდიტორთა პროფესიული სერთიფიცირებით დაიწყო; ამასთან, რეალურად განსხვავებული და საინტერესო მოდელია სახელმწიფო აუდიტისა და შიდა აუდიტის თანამშრომლობის პრაქტიკა, - ფინანსურ აუდიტს მხოლოდ გარე აუდიტორები ატარებენ, რაც ხელს უწყობს შიდა აუდიტორულ რესურსს დაკავდეს მისი ძირითადი ფუნქციით და მაქსიმალური ძალისხმევა რისკ-ფაქტორების პრევენციაზე მიმართოს; ესტონეთის კანონმდებლობით, ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი ტარდება 3 წელიწადში ერთხელ, გარედან მონვეული ექსპერტების მიერ; ესტონეთში გაუქმებულია ჰარმონიზაციის ცენტრი, მისი ფუნქციები შეთავსებული აქვს შიდა აუდიტის ადგილობრივ ინსტიტუტს (IIA), რომელიც პროფესიული განვითარების მიზნით ეხმარება შიდა აუდიტორებს მსოფლიოში არსებული უახლესი მიდომებისა და მეთოდების გაზიარებაში.

სლოვენიაშიც, ესტონეთისა და საქართველოს მსგავსად, შიდა აუდიტის ჩამოყალიბება დაიწყო ევროკავშირის მოთხოვნისა და შეთავაზებული კონცეფციის შესაბამისად. საქართველოსგან განსხვავებით შიდა აუდიტორად მუშაობისათვის სავალდებულოა აუდიტის, ფინანსების ან ბუღალტერული აღრიცხვის სპეციალობა უმაღლესი განათლებით, მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება და „სახელმწიფო შიდა აუდიტორის“ სპეციალური წოდება. ამასთან, აუდიტორი გადამზადებული უნდა იყოს ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ ცენტრში (CEF /Center of Excellence in Finance). სლოვენიაში მოქმედებს შიდა აუდიტორთა სერთიფიცირების პროგრამა. სლოვენის საჯარო სექტორში ტარდება მხოლოდ ეფექტიანობის, შესაბამისობის და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი. ფინანსურ აუდიტს კი, ესტონეთის მსგავსად, ატარებს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახური. სისტემური აუდიტი კი ინტეგრირებულია აუდიტის სხვა საახეებთან. სლოვენის ფინანსთა სამინისტროს გადამზადების ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ჰარმონიზაციის ცენტრთან სერთიფიცირების

პროგრამის მოსამზადებლად. ურთიერთშეთანხმებით, ყოველწლიურად იგზავნება შიდა აუდიტორთა ჯგუფები, რომლებიც კვალიფიკაციას იმაღლებენ საერთაშორისო სტანდარტებში.

ხორვატიაში, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის“ (Public Internal Financial Control law) შესახებ კანონმა, საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის მსგავსად, მოიცავს ფინანსების მართვა, კონტროლი და შიდა აუდიტი. ხორვატიაში შიდა აუდიტის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ პროცესებს კოორდინაციას უწევს ცენტრალური ჰარმონიზაციის ერთეული.

უნგრეთში, საქართველოს მსგავსად, შიდა აუდიტი თავდაპირველად ყოფილი „ინსპექციის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა. ცალკეულ სამინისტროში, შიდა აუდიტის სუბიექტი მანამდეც არსებობდა, თუმცა ასეთი მიდგომა წინააღმდეგობაში მოდიოდა შიდა ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან. ევროკავშირისგან აღებული ვალდებულებების კვალდაკვალ, უნგრეთი იძულებული გახდა საჯარო სექტორში შიდა აუდიტის ორგანიზებასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური და სამართლებრივი საკითხები საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების ფარგლებში მოეცია.

